ელგუჯა ბერძენიშვილი

ხასანბეგური

„ნაკადული“
თბილისი
1988

84Гр 7—4
ბ 571

© „ნაკადული“, 1988

70803—90
Б ———————— 124—88
М — 603(08) — 88

ISBN 5—5[illegible]5 —000347—2

„არსად ისე არ მღერიან,
როგორც აქ, ამ ქვეყანაში“

გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ი

გურია თავისი ფირალებით და ძველი სიმღერებით მამაჩემმა შემაყვარა. როცა სოფლად ჩამოვედი, მე უკვე თან მახლდა ჩემეული გურია და სრულებით აღარ დავეძებდი, მიაგავდა თუ არა იგი, მამაჩემის აღთქმულ ქვეყანას. აქ ყველაფერი მომწონდა და მახარებდა. უღრუბლო ციდან მოლაღურების კვირკვილი რომ გაისმოდა, უცნობს რომ ვესალმებოდი გზაზე და ისიც სალმით რომ მპასუხობდა, ძველებური, ხავსიანი ჭიშკრები, ცაცხვის ქვეშ თეთრწვერა მოხუცის დანახვა. ანდა სადმე, შორეულ სოფელში ჭიშკართან წყალს რომ მოითხოვდი მწყურვალი და „ღვინო ხომ არ მოგართვათ, ჩემო ბატონოო“, ხარებს რომ მიდენიდა ფეხშიშველა ბიჭი, დროული კაცები რომ მეკითხებოდნენ ქვეყნის ამბავს, ვერცხლის ქამარი რომ მეკეთა, ძმობილის ნაჩუქარი... აღარ ვიცოდი ჩემი პატივისცემა და სიყვარული მათდამი, როგორ გამომეხატა. სალამს ვერავინ დამასწ-

რებდა, პირველი მე გავრბოდი სტუმრის შესახვედრად, ცხენს ჩამოვართმევდი ხოლმე, უზანგს ვუკავებდი და გასტუმრებისას მხარზე ვემთხვეოდი ძველებურად. „ნამდვილი გურული ხარო!“ —მაქებდნენ, გული სიამაყით მევსებოდა, მიხაროდა, მეც იმ კუთხის მკვიდრი რომ ვიყავი, ჩემს გულში რომ ცოცხლობდა და თან მახლდა. მაგრამ ნამდვილ გურულად რომ მეგრძნო თავი, ჩემი სიზმრები უნდა ამხდენოდა. სიზმრად კი იმ დღის მერე, ხასანბეგურა რომ მოვისმინე, სიზმრად კი არა და ცხადშიც სულ ის მელანდებოდა, თითქოს განთქმულ მოსიმღერეთა შორის მეც ვიდექი ჩაბალახით თავგაკრული, წითელ ჩაქურაში გამოკვართული, თოლაბულთას სარტყელში დამბაჩაგარჭობილი და თავმომწონედ დოინჯშემოყრილი მაღალი ხმით ვიწყებდი ხასანბეგურას. ძალიან ხშირად მეზმანებოდა ასე მოსიმღერე ჩემი თავი.

შემიპყრო ამ სიმღერამ. შემიყვარდა, როგორც ფეხშიშველი, წვივებდაკაწრული სოფლელი გოგო შეგიყვარდება სიჭაბუკისას. ხასანბეგურა მხოლოდ სიმღერა არ იყო ჩემთვის, არამედ ჰანგებში ჩაძირული საოცნებო ქვეყანა, უჩვეულო და მომხიბვლელი მხარე, დასახლებული მამაცი ხალხით, სტუმართმოყვარე, ხალისიანი, გულადი, მხიარული და მოსიმღერე ხალხით, ქალები ენატკბილნი, მოყვასნი, კაცები — ვეფხვთაგან უფიცხესნი, ამაყნი, მრისხანე მხედრები, უებრო მოჯირითენი, ტყვიას ტყვიაში რომ სვამდნენ სროლით

და გაჭენებულ ცხენის უზანგზე გადმოკიდულნი გულაღმა, მინდორზე იას რომ მოგიწყვეტდნენ და მოგართმევდნენ, თუ ისურვებდით, რა თქმა უნდა... ასე ამბობდა მამაჩემი.

ხასანბეგურა მათი მჩქეფარე სისხლი იყო ჰანგად ქცეული. გურიის სული სიმღერაა. ყველა გურული მღერის. ყველას თავი მოჰქონდა სიმღერით, მეც გურული ვიყავი (არაფრით სხვაზე ნაკლები) და მეც მინდოდა მხრებში გავშლილიყავი, ამაყად მევლო ქვეყანაზე. ყოვლად შეუძლებელი იყო, სიზმარი ცხადად რომ არ მექცია და ხმამაღლა არ შემომეძახა ხასანბეგურა.

ჩვენი სოფლის არც ერთ გოგოს, ნაწნავებში ბირკებითა და ხოზიკებით, მუდამ მხიარულად რომ მხვდებოდნენ ჩვენი სოფლის შუკებში, არც მათთან შერწყმის იდუმალ სურვილს თუ სიყვარულის ნაადრევ ვნებას, ისე არ დავუტანჯივარ, როგორც ხასანბეგურას.

მერე კი ვიწყეველიდი თავბედს, როცა ჩემმა პირველმა მასწავლებელმა პირველსავე დღეს დამიწუნა და თავიდან მომიშორა, როგორი შეურაცხყოფილი დავრჩი, რა განადგურებული და დამცირებული ვბრუნდებოდი უკან, როგორ მძულდა თავი, ისე მრცხვენოდა საკუთარი თავის, რომ ლურჯად დაბინდული მთები, ბებერი ცაცხვები და მოლაღურების მოფრენა რომ არ მყვარებოდა, შეიძლება თავის მოკვლაზეც კი მეფიქრა, თუმცა როგორ გავიმეტებდი მაშინ თავს, როცა, ცა მუ-

დამ უღრუბლო იყო, აყვავებული ტყემლის ხეები თეთრად გამოწყობილ გოგოებად მეჩვენებოდა და გულში ხასანბეგურა ღვიოდა. ჩემს მხურვალე სურვილს, სიმღერა მესწავლა, იმანაც შეუწყო ხელი, რომ ხშირად გადმომკრავდნენ ხოლმე მწარე სიტყვას. ჭაბუკი ვიყავი და ადვილად მეკოდებოდა გული. ერთხელ, ერთ წვეულებაში, ერთმა გოგომ, თავისი ალუჩისფერი თვალებით უტეხად რომ მიმზერდა, ჩემს გასაგონად ხმადაბლა იკითხა: ჩვენი სტუმარი რამ დაამუნჯაო? მეწყინა, მაგრამ ამას როგორ დავიმჩნევდი, მეწყინა იმიტომ, რომ ეს გოგო შორიდან ბევრჯერ მყავდა დანახული და ახლოდან ძალიან ლამაზი მეჩვენა. მერე გადამეკიდა ერთი წვერჭრელი მოხუცი, „ჩვენ მშვიდობას“ წამოგიწყებ და ამყევიო. „არ ვმღერი, ბატონო“-მეთქი, მერე ღვინით სავსე ყანწი გამომიწოდა, „დამილიეო!“ მიბრძანა. მე ქათმის ბარკალს ვხრავდი. „არ ვსვამ“-მეთქი, ვუთხარი. დამიბრიალა თვალები.

— არ მღერი!

— არ ვმღერი.

— არ სვამ!

— არც ვსვამ.

— აბა, ქათამს ტურაც კი ჭამს! ფუი, შევარცხვინე შენი გურულობაო!

ის ცბიერი გოგო კი შეშფოთებული სახით აწყნარებდა ფიცხ მოხუცს, „დეეთხუე ბაღანას, ეგება არ ემღერებაო“. ბევრჯერ შევრცხვი სიმღე-

რის არცოდნით. ამაზე უარესებიც უთქვამთ. მაგრამ სიმღერის სურვილი მაინც თავად სიმღერამ აღმიძრა, როცა იქუხა ხასანბეგურას ბანმა, და მთელი ჩემი არსება ცეცხლად აქცია. უმტკიცესი ნება ხმიანობდა — ნება ვაჟკაცური, გმირული, ნება — მეფური, მიმართული გამარჯვებისაკენ. გულში ხმას მივაყოლებდი ბანს და ძალა მემატებოდა. ახლა რომ ვფიქრობ, ვხვდები, რომ ერთი მეოცნებე ჭაბუკი ვიყავი და ჩემი კაცობის განსამტკიცებლად მჭირდებოდა ეს ვაჟკაცური სიმღერა. ერთხელ ბაბუაჩემმა შემოქმედის მონასტერში გამაგზავნა, სანთელი დაუნთე წმინდა გიორგის და ხელს მოგიმართავსო. შემოქმედში მართლა წავედი და წმინდა გიორგიმ მართლა მომიმართა ხელი, თუმცა არც მონასტერში ავსულვარ და არც სანთელი დამინთია, იმიტომ რომ ქვემოთა პატარა საყდარში, სოფლის კლუბად რომ გადაეკეთებინათ, გურული სიმღერის ღმერთებს მოეყარათ თავი და მათ მოსასმენად შევუხვიეთ მე და ელიასამ.

აი, მანდ წამეკიდა ხასანბეგურას სიყვარული.

* * *

ჩვენ პირველ რიგში ვისხედით, მე და ელიასა. სოფლის კლუბი წინათ საყდარი რომ ყოფილა, შიგნით კირით მოეთეთრებინათ. საკურთხევლის წინ ძველი დაგლეჯილი ფარდა ეკიდა, მავთულ-

ზე გაჭიმული, და იატაკამდე ვერ უწევდა. ხალხი თანდათანობით მატულობდა, ზოგი „სამუშიერიდან“ წამოსულიყო და თოხები იქვე მიეყუდებინათ, სადაც ისხდნენ და ერთმანეთში საუბრობდნენ ხმამაღლა. ფარდა პატარა მწითურმა ბიჭმა გახსნა. ჯერ მარჯვნივ, მერე მარცხნივ და იქვე სცენაზე ფარდის ძირას მოკალათდა.

გუნდი უძრავად, გაქვავებული იდგა. ძველისძველი ფოტოსურათი გეგონებოდა. მოსიმღერეთა შორის რამდენიმე მოხუცი ერია. ვერძის სიდინჯით იდგნენ წელამდე წვერდაფენილნი და მე ვფიქრობდი, ვინ იცის, ძველად, ასევე იდგნენ აქ საყდარში და ღვთისმშობელს ტკბილად უგალობდნენ-მეთქი. გუნდმა შეასრულა „ვახტანგური“. ფიცხელი, საოცარი სიმღერა. „შვიდკაცა“, „ბურთის გამარჯვება“. ამ სიმღერას თურმე, მიხსნიდა ჩემ გვერდით მჯდომი კაცი, თავი ნაჭრით რომ ჰქონდა წაკრული, მაშინ მღეროდნენ, როცა ლელოს გაიტანდნენ და გამარჯვებულნი ბრუნდებოდნენ შინ. ხასანბეგურა რომ გამოაცხადეს, გულმა ბაგაბუგი დამიწყო, იმიტომ რომ ამ კაცმა მითხრა, სიმღერა ამას ჰქვიაო. კაცის ყური რას მოისმენს უკეთესს. გუნდი ისევ უძრავად იდგა. ჩაბალახებზე ფოჩიც კი არ ერხეოდათ, სუყველას შავი ჩაქურა ეცვა. შავი ჩაბალახები ებურათ, ციმციმა ვერცხლით მოსირმული, თოლაბულთას ჭრელი სარტყლებიც ვერცხლისფერს გადაიკრავდა, ჭიაფერის წითლით დასერილი. გამოვი-

და ლანდივით უხმაუროდ ვარლამ სიმონიშვილი, შავ ჩოხაში, თვალებამდე ფაფარჩამოფხატული. მსმენელებს თავი დაუკრა ამპარტავნულად, სწრაფად შეტრიალდა გუნდისკენ, ფიცხლად აიქნია ხელი და თითქოს ჯადოქრული ძალით, გაქვავებული გუნდი შეინძრა, შექანდა, დაიშალა. მოსიმღერეები სხვადასხვა მხარეს წავიდ-წამოვიდნენ, ერთმანეთს სწრაფად უვლიდნენ გვერდს და თავიანთ ადგილს იკავებდნენ. გუნდს გამოეყო სამი მოსიმღერე და გუნდისაგან მოშორებით შორიახლო გადგა ცალკე. ორი ამ სამის საპირისპიროდ იდგა, თითქოს საბრძოლველად გამზადებული. ვინც ადგილზე დარჩა, ისინი სწრაფად მჭიდროვდებოდნენ, ერთ გუნდად იკვრებოდნენ. ეს იდუმალი რიტუალი სამარისებურ სიჩუმეში ხდებოდა და სიმღერის მოლოდინს ამძაფრებდა. ხმები დანაწილდა — ჩურჩულით თქვა ელიასამ. როცა სუყველამ დაიმკვიდრა ადგილი, გუნდი კვლავ გაქვავდა. მხოლოდ ერთი შეირხა ოდნავ. მან მშვიდად შემოიდგა დოინჯი, თავმომწონედ გასწორდა, მიმინოსავით ასწია თავი ამაყად და მომლოდინე დუმილში ხმამაღლა გაისმა ხასანბეგურა.

„ააااااااااივოااااا" — გაისმა თუ არა მთქმელის ხმა, გზა მოუჭრა ბანმა, „ვაჰდილაჰ" — აქუხდა ომახიანად, და ვიდრე შეთანხმდებოდა მთქმელი და ბანი, აიჭრა ცისკენ ვერცხლის იადონი, ვერცხლისფრთიანი... რიმტირირირაო იაჰო, ცას ასწვდა, ახალისდა, აციმციმდა, გადააფრქვია სი-

მღერას ხალისი, სულ მაღლა და მაღლა მიიწევდა ცაში, გაბრწყინდა კრიმანჭული! მღეროდა მთქმელი, მიქუხდა ბანი, წკრიალებდა ვერცხლის ეჟვანი, ცას შეტყორცნილი, ხოლო ვის ბაგეებსაც მერცხლებივით წყდებოდა ხმები, ისინი ჩვენ წინაშე იდგნენ და მათი მშვიდი დგომა არაფრით არ ჰგავდა იმას, რაც ხმიანობდა ცაში... ნათელ ცაში...

ნათელ სივრცეში აიჭრა სამი მიმინო სხვადასხვა ფერის, დასცილდნენ ერმანეთს, სხვადასხვა მხარეს გაჭრილნი, კვლავ ფიეტანენ ერთურთს, დაქანდნენ ქვემოთ დიდი სისწრაფით და შეაქვავდა ერთმანეთს სამივე ხმა, ერთ ხმად ქცეული. ამღერდა გუნდი, აიტაცა სიმღერის ჰანგი, გადაიტანა სიმღერა, გაივაკა მთის მდინარემ, ლოდებზე რომ მოქუხდა აქაფებული, მშვიდად, ომახიანად წარედინა გუნდის ლანქერი, ადიდებული სიმღერის ფონზე, აქა-იქ, ქაფივით ჩნდებოდა და ქრებოდა მთქმელის ხმა, მდინარის შუაგულში ჩაკარგული.

„ხასანბეგი თავდგირიძე, გარისჩული ღვთისგან ერთი,
თათრის ფაშობა ისურვა, სულ მთლად დაივიწყა ღმერთი".

თითქოს მშვიდობიანად უნდა ჩამთავრებულიყო გუნდის სიმღერა, რომ უეცრად ავარდა ახალი ხმა მთქმელის იმ მხრიდან, სადაც ორი მოსიმღერე იდგა ცალკე გამდგარი, სიმონიშვილი მოწყდა ადგილიდან, სწრაფად, მოზომილი ნა-

ბიჯებით გაემართა ორისაკენ და შორიდანვე შეაგება მაღალი, ამაყი ბანი და გადაწვნენ გაჭენებული ცხენის კისერზე მხედრები ყივილით და მიუშვეს სადავე ხმებს.

ჯირითობდნენ მხედრები, ყოველი ხმა უჩვენებდა თავის სიჩაუქეს, გაჭენებულ ცხენის გავაზე აღიმართებოდა ბანი და უმალვე უნაგირზე მოექცეოდა, მთქმელი ეკიდებოდა უზანგზე ფეხით. კრიმანჭული ზედ ევლებოდა გაჭენებულ სიმღერას.

მუქარად ქცეულიყო ბანი ნებაძლიერი. ფიცხელ ბრძანებას გასცემდა — მხედრულს, ვაჟკაცურს, ომახიანს. გახელებული ბატონობდა, მეფობდა ხმებზე, მხედრებზე, მაგრამ კრიმანჭული, აღტაცებული, ატაცებული ბრმა სიხარულით, ხან გაუსხლტებოდა, ცისკენ ისწრაფოდა, ცას სწვდებოდა სიცილ-კისკისით. რა მოესმოდა ბანის მუქარა, დასაზღვრულს ნუ ასცდებიო, ფრთებგაშლილი, ქვედაქანებული წამოეწეოდა მთქმელსა და ბანს, დროზე უსწრებდა წკრიალით, წკრიალ-წკრიალით. ბანი-ულაყი შავი, შავად ელვარე ფაფარაშლილი, მთქმელი — ხმა-კეთილი, ხმა ოქროსფერი, მათ შორის მოჭიხვინე ხმამხიარული, თეთრი კვიცი — კრიმანჭული, შორით ნასროლი ქამანდი ვუნდიდან. ერთ ადგილზე დაერჭო ხმები. ხმა აღიმაღლა გუნდმა, ამღერდა ძალუმი ჰანგი რისხვის, მძლეთა-მძლე, გურგულა ზეცის, მოთქვამდა

მთქმელი არა მწუხარებით, არა სიძულვილით, გაბმულად, მშვიდად, უწყვეტად მთხრობელი.

„შარშან ჩემი ძმაი იყავ, ბოლოს მაინც მიღალატე“...

ომახიანად მღეროდა გუნდი, სამი მოსიმღერე განემზადა. ერთმანეთს გადახედეს წამით და კვლავ უეცარი შეძახილი ფიცხელი; გაიჭრა ოქროსფერი ხმა ველზე, მიჰყვა შერმადინ-ბანი, დეზები შემოჰკრა საომარ ულაყს, ლახვარი ჩასცა მოღალატეს ბანმა. აღმართა მარჯვენა, ასხლტა მიმინო, ეჟვნის წკრიალით აიჭრა ზეცისკენ, ჩამოუქროლა ვარსკვლავებს, ფრთა გაჰკრა, ააწკრიალა „რიმტირი რიმტირი ტირი რირი რიმტირი“, ციმციმებენ შორეული ვარსკვლავები. ქვეშ დარჩა ქვეყანა, შორს დარჩა ქვეყანა, რეკდა ეჟვანი, ირაო დაჰკრა რიმტირი რირაო, დაქანდა მიწისკენ გვერდულად, სწრაფად წამოეწია მეროლავ სიმღერას გიგოიე მგელაძის კრიმანჭული და დააფრინდა ბანს მარჯვენაზე, დედო ზარებს შემოჰკრა გუნდმა, აგრგვინდა, აგუგუნდა გუნდი, ჩამოიქცა ზეცით მოგუგუნე ცისარტყელა, მრავალფერი, მრავალხმიანი, ჩანჩქერად ქცეული, გადაეკიდა კბოდედან თეთრი ჩაქუხა, აქუხდა მორევი, ისევ გამოეყო გუნდს სამი ხმა, ჩაიგრიხა, ჩაიხლართა, ჩაიწნა სწრაფად, ხმიანად, თან ჩაითრია ხმათა ტალღებმა იადონი ვერცხლისფრთიანი, იავოჰ, იავოჰ, იავოჰ, ფართხალებდა. ზსეფებს აფრქვევდა, ვერცხლის ფრთებს სცემდა ლოდს, ხმებში ჩაძირული, ვაჰე!

ვაჰე! ვაჰე! აგულიანებდა ბანი, ასხლტა კრიმანჭუ-ლი, შეერთო ხმებს, შეერთდა ყოველი ხმა, ერთ სიმღერად ქცეული სასწაული! იქუხა ტაშმა, ქუხ-და და ქუხდა ფიცხელი ტაში.

ჩემი არჩევანი ხასანბეგურაზე შეჩერდა!

* * *

„ოო, ჩემო ბიძიკო“, მითხრა ჩემმა პირველმა მასწავლებელმა, „ნამეტანი ძნელი საქმისთვის მო-გიკიდია ხელი. პირდაპირ რქებში ტაკებიხარ ხარს! გეტყობა, დიდი გაბედული კაცი ხარო. — თუ იცი, ან თუ გიმღერია რამე ჩვენებურიო?!“ ვინ გაცალა პასუხი, „გამოგცდიო“, თქვა და უეცრად რაღაც ხმა ამოუვარდა პირიდან, როგორც შა-შვის აფართხალებული ბარტყი გაგიფრინდება ორივე ხელიდან, და მიბრძანა, გაიმეორეო.

— როგორ გავიმეორო, როცა არც კი გამიგია-მეთქი.

— უნდა გაიგონოო.

— ყური ვერ მოვკარი-მეთქი.

— ეგაა საქმე, უნდა მოკრაო. — ხელმეორედ წაიმღერა რაღაც, უფრო მოკლედ და სწრაფად.

— ახლა ხომ გაიგონეო?!

— ახლა კი-მეთქი. გაიმეორეო. გავიმეორე.

ბაღნობაში შენთვის დათვს ხომ არ დაუბიჯე-ბია თათი ყურზეო? ჩემთვის ბიძიკო არაკაცს არ უსწავლებია სიმღერა. ორი კაცი მღეროდა შა-

რაზე, დამიძახეს, მი

დნენ, კოცნიდნენ და ეხვეოდნენ ერთმანეთს სიმ-
ღერითა და ღვინით გულაჩუყებულნი. დილით კი
ისევ თვალებს უყლიპავდნენ ერთმანეთს.

ერთხელ ვკითხე ძმებს, გურიაში პირველ მო-
სიმღერედ ვინ ითვლება-მეთქი, ერთმანეთს გა-
დახედეს, თვალებით შესცინეს. ერქომაიშვილებს
რომ ვერავინ გაუტოლდება, ეს ვიცი-მეთქი, მა-
გრამ თქვენ ვის მიანიჭებთ პირველობას, რომე-
ლია დღეს ყველაზე სახელოვანი?

სამივე ძმამ გაკვირვებით შემათვალიერა. მერე
კვლავ ერთმანეთს გადახედეს. ეზოს გადაღმა ერთ-
მანეთს შეიტკბობდნენ ხოლმე, მტერს რომ დავ-
სებოდა თვალი და ერთმანეთს რიდით ექცეოდნენ.

კალენიკემ თქვა: „პირველად მესმის მაგინის
მომღერლობაო, სიდოურები არიან თუ იცი შე-
ნო?“ ლადიკომ ააცმაცუნა მერცხლის კუდივით
წკვერტა ულვაშები და მითხრა: „ძომისვი სუფ-
რასთან სუყველა და გაიგებ, მოსიმღერე ვინააო“,
ქესკინა, ბოლამე ძმა, გალა მჭედელი, ძმებზე მო-
კრძალებული აღმოჩნდა. მან თქვა: „ჩემზე მაგა-
რი მოსიმღერე ერთი შემხვდა, სამუელ ერქვა და
გვარად ჩავლეიშვილი იყო, თუ მახსოვრობა არ
მატყუებსო“. ბიცოლაჩემმა მიჩურჩულა: — ნენა,
მაგინს ყურს ნუ უგდებ. საშინელი ტრაბახა ხალ-
ხიაო, სიმღერა კი იციან, მარა სამუელ ჩავლეიშ-
ვილი მაგინთან პირს რავა გააბჩენდა, ცოცხალიც
რომ ყოფილიყოო. მაგინი შენ არ გამოგადგება,
მეუბნებოდა ბიცოლაჩემი, მაგინი მშრომელი ხა-

ლხია, სად სცალიათ შენდა? შენ, ნენა, შენსავით მოცლილი მონახე, წაი ნანიოს მიაკითხე, ნამდვილი მოსიმღერე იგია, მთელი ცხოვრება სიმღერაში აქვს გატარებული, ერთხელ არ შეუვლია ხელი თოხზე, მარტოხელა კაცია და კიდეც გაუხარდება, თუ მიხვალ, ხმის გამცემი მაინც ეყოლება გვერდშიო. „ნანიო, ნანიო“, — ვთქვი გულში ჩემთვის და ეს სახელი სიმღერასავით ჩამესმა, რაღაც თბილი და საყვარელი იყო ამ სახელში, და თუმცა არც ვიცოდი, ვინ იყო ნანიო, ეს სახელი შორიდან მიხმობდა, მეფერებოდა, მიღიმოდა და მიზიდავდა. „ნანიო, ნანიო“, ვამბობდი გულში და მსიამოვნებდა მისი მრავალჯერ გამეორება.

— ნანიო რომელია, ნა, იცი? სამუშაოზე რომ მივდიოდით, ხომ გახსოვს? ეწერში, გზაზე რომ კაცი შეგვხვდა, თმებგაფოფრილი, არ გახსოვს? მის ჭიშკარზე ვარდები რომ იყო შესეული და შენ რომ თქვი, კაი დასახატიაო, ე, იქ ცხოვრობს ბერიკაცი!

— ისე როგორი კაცია, — ვკითხე ბიცოლაჩემს.

— ნამეტანი კაი, კეთილი, სტუმრის მოყვარე, შენ კითხე ერთი, რაფერ იყო, ჭინკები რომ დაგიხვდნენ ტყეში-თქვა, არ იფიქრო ვმასხრობდე, სინამდვილეს გიჩვენებ, იმასაც მოგიყვება, რა დღეი წაკიდეს!

* * *

მე ტყისკენ მიმავალ ბილიკს გავყევი, წიფლნარი ჩავიარე, გაღმა სერზე მუქად მოჩანდა დიდი ცაცხვი, აღმართი ავიარე თუ არა, ტყისპირზე გამოჩნდა ძველებური ჭიშკარი, სუროთი და ველური ვარდით დაბურული.

„მასპინძელი!“ სუროზე შეფრთხიალდა შაშვი.

„მასპინძელი!“ შაშვი ახლა თხილნარისკენ მიფრინავდა ჭახჭახით.

„მასპინძელი!“

„მეტი რიხია საჭირო!“ თქვა ჭიშკრის შიგნიდან ხმამ და იმავე წამს მრგვალი სამზერიდან რისხვით ანთებული თვალები მომაჩერდა. ჭიშკარმა გაიჭრიალა და მე დავინახე მზის შუქში გახვეული თმაგაჩეჩილი მოხუცი, სახით სათნო, სხივოსანი თვალებით მზირალი, ცეცხლოვანი სიკეთე რომ ღვიოდა შიგნით და პირველ დანახვისთანავე შემიყვარდა იგი. „ნანიო“, ვთქვი გულში. სახელი ზედმიწევნით მიაგავდა მას. მისი გვერდზე გასული მოვერცხლისფერო თმა მხრებს გადაცდენოდა და უხვად შუქჩაღვრილ ნათელ შარავანდივით შემოსდგომოდა მის კეთილშობილურ, ღირსებითა და სიკეთით აღვსილ სახეს. მგალობელი, ჯადოქრულ ჰანგების მფლობელი, ნამდვილი მოსიმღერე! მე მხარეზე ვემთხვიე მოხუცს.

— როგორ ბრძანდებით, ბატონო!

— თავად ბატონო. თქვენ როგორ გიკითხოთ. მიცნობ. ბიძია, მე?

თქვენ ვინ არ გიცნობთ-მეთქი. მე ავუხსენი ვინც გამომგზავნა, ვინ ვიყავი.

— თუ გინდა გარეშე, უცხო კაცი იყავი, სტუმარს რა სჯობია. მობრძანდი, ბიძია, ნამეტანი მოხარული ვარ შენი გაცნობის. — მოხუცი ცაცხვისაკენ წამიძღვა. ეზო გვირილებით იყო გადათეთრებული. ჩვენ შტომრავალი ცაცხვის ქვეშ ვისხედით. ის სკამლოგინზე, მე კი კოინდარზე ფეხმოკეცილი.

— ბიცოლაშენი შემხვდა, ყველაფერი მომიყვა. არ დაგრჩენია გადმოუხატავი არც ერთი მთაი და ხეი. ჩემი ჭიშკარიც უნდა დახატო, შევიტყვე.

— თქვენ დაგხატავთ-მეთქი, — ვუთხარი მოხუცს.

— ო, არა, ბიძია, მაგი, რომ მოვკვდები მერე; ჯერ ადრეაო.

მოხუცი ოდნავ გაბზარული, დაბალი, საწყალობელი ხმით საუბრობდა და მისი ხმა რომ მესმოდა, გულში ვფიქრობდი, რაღა დროს ამის სიმღერაა, სულს ძლივს ითქვამს-მეთქი. ტკბილად ვისაუბრეთ ცაცხვის ჩრდილში და სიმღერა ერთხელ არ უხსენებია. მე ნელ-ნელა შევაპარე, მხატვარი მინდა გამოვიდე, სიმღერაზე ნაკლები არც ეს არის, ძალიან მიყვარს, მაგრამ არავინ მყავს, რამე რომ ამიხსნას, რაც შეიძლება, ვცდილობ ჩემით, მაგრამ

სიმღერისა არ იყოს, მარტო რას ისწავლის კაცი-მეთქი.

გურული სიმღერა თუ მოგწონსო, მკითხა.

— წინათ არაფერი არ მესმოდა და არც მომწონდა.

— ახლა თუ გესმის.

— ო, ახლა ყველაფერზე მაღლა ხასანბეგურას ვაყენებ და ჩემზე ბედნიერი ადამიანი არ იქნება ქვეყანაზე, თუ მასწავლით.

მოხუცმა მშვიდად ჩამოისვა თეთრ წვერზე ხელი, ლამაზი ხელი, ერთხელ რომ არ შეხებია თოხის ტარს, და დაკვირვებით შემომხედა.

— ჩემო! — თქვა მან. — ნამეტანი მახარებს ის ამბავი, რომ სიმღერა გყვარებია. ჩვენებური სიმღერის სწავლა რომ გისურვებია. მარა უმჯობესი ხომ არ იქნებოდა, ჯერ უფრო ადვილად სათქმელით რომ დაგვეწყო. რას იტყვი შენ?

— ვიცი, — ვთქვი მე. — არ შეიძლება ხარს პირდაპირ ეტაკო რქებში. ისიც ვიცი. არასოდეს მოსიმღერე რომ არ ვიქნები. მე ჩემთვის მინდა რომ ვიცოდე ხასანბეგურა, ჩემთვის. გულში რომ ვმღეროდე.

— რად გინდა სიმღერა, თუ არ იმღერე. მაშინ ჩემთან რას მოდიოდი. რა გაცინებს?! ვერ მივხვდი, რას მიჩივი. სიმღერას თუ მასწავლი. არ ვიმღერებო?! აბა, იცი ვითამ, იყავი და გქონდეს, კარგად შეინახე.

ორივე გულიანად ვიცინოდით.

— ამ სიმღერაში, — ვთქვი მე, — ყველაფერი ერთადაა თავმოყრილი. ეს ერთი სიმღერა საკმარისია ჩემთვის, — ხვეწნით, მუდარით ვუმტკიცებდი მოხუცს, — სხვა სიმღერებს ვერ მოვერევი. ამ ერთს მივაკვდები და ვისწავლი.

მოხუცი წარბშეკრული მიმზერდა. მის სხივოსან თვალებში კეთილი დაცინვა ამოვიკითხე. მე ჩემსას არ ვიშლიდი და მოხუცს მთელი გულით ვეხვეწებოდი, ხასანბეგურა მასწავლე-მეთქი.

— სხვა სიმღერით დაწყებას იმიტომ მოგახსენებდით, — თქვა მოხუცმა, — რომ ენის გასატეხადაა საჭირო, ხასანბეგურამდე რომ ავაღწიოთ.

* * *

თითქოს ამ მოხუცს გვამში სხვა ეჯდა და ის გამოსცემდა მაღალსა და ვაჟკაცურ ხმას. მშვიდ სახეზე უეცრად რისხვით ენთებოდა თვალები ხმას რომ აუწევდა და მისი თვალების აელვარებით ვხვდებოდი, თუ რა ვაჟკაცური რამ იდო სიმღერის ჰანგში, ასეთ ცეცხლს რომ უნთებდა სისხლში ბერიკაცს. ცისკენ მიმართული საჩვენებელი თითი სიმღერის დაწყების ნიშანი იყო მისთვის. ჩემთვის კი სატანჯველის. მიბრძანებდა და ერთსა და იმავეს მრავალჯერ მამეორებინებდა: ხმა ლურსმანივით უნდა გაურჭო ყურში, გაუყარო, ატკინო, აუწიე ხმას! მე კი არ მითქვამს, ბიძია, კატას დააბიჯე ფეხი კუდზე-თქვა. ნუკი ლაპარაკობ, იმღერე! გაბე-

დულად! ამოიდგი ხმაი, რამ შეგაშინა, აქეთობას ჭინკა ხომ არ მოგლანდებია ტყეში. ვაკაცურად, რიხით უნდა ამ ადგილს სიმღერა.

— თქვენ მართლა დაგიხვდნენ ტყეში ჭინკები?

— იყო მაი ამბავი. — თქვა მოხუცმა. — ღამით დამიხვდნენ წყლის პირში, ორი იყო, ოა ბექნა! წამოვიწყე ძნელი სიმღერა და ამყვნენ. უნდა გენახა, რა სანახავები იყვნენ, რა ტკბილად მღეროდნენ და რა კრიმანჭული სცოდნიათ მაგ დაწყევლილებს, მარა ვაჯობე, დავამარცხე სიმღერაში და იმის მერე სიახლოვეს აღარ გამკარებიან შერცხვენილები!

ეზოსთან გამვლელები ხმამაღლა ესალმებოდნენ ნანიოს. ჩერდებოდნენ, ჩაიცინებდნენ და გზას განაგრძობდნენ.

„ვოი დილა ადილო დილლა ადილო“...

ერთხელ ცაცხვის ქვეშ, გრილ სიჩუმეში რომ ვისხედით და მოხუცი მესამე მუხლს რომ მიხსნიდა, ვეღარ მოითმინა და მთელი ხმით დაჰქუხა ბანი, სიხარულისაგან წამით რომ ვიგრძენი, რა იყო ნამდვილი ხმა და სიმღერა, სიცილი წამსკდა და ბერიკაცს ვუთხარი.

— რა ვქნა, როგორც კი თქვენს ხმას გავიგებ, მეშლება-მეთქი.

— იმიტომ რომ ბანს უგდებ ყურს, — თქვა მან, — შენ შენი სათქმელი მიიყვანე ბოლომდე.

მე სხვას ვჩივი, შენ სხვას. აგი გაბნევს. ასეა ჩვენებური სიმღერა. აბა იგია სიმღერა, ყველა ერთ ხმაზე რომ მღერის? მთელი სილამაზე იმაშია, ბიძია, რომ სხვადასხვა სასიმღერო აქვს სამივე ხმას, ნახავ. მერე ეს ხმები რომ გადაიწნება ერთმანეთში, რა კაი იქნება. ჰე აბა, წამოიწყე.

მართლაც ასე იყო. უდიდეს სიამოვნებას მგვრიდა ხმების მოულოდნელი შეხება და დამთხვევა. ვგრძნობდი, რომ ამ არეულ ხმათა შეპირისპირებით და უეცარი შერწყმით გასაოცარი ჰარმონია იქმნებოდა, ვხვდებოდი, რომ ვწვდებოდი რაღაც იდუმალსა და გასაოცარს, მაგრამ მიხვედრა ჩემს საქმეს არ შველოდა. კვლავ მეშლებოდა სიმღერა. ერთხელ სიმწრით ჩავილაპარაკე. შორისდებულთა ამოძახილებით თავგზააბნეულმა, რამე სიტყვა მაინც იყოს, ერთი სიტყვაც რომ იყოს გამორეული-მეთქი. ნანიომ ჩაიცინა.

— სუუ, — თქვა უეცრად ჩურჩულით. თვალებით ბროწეულის ჩირგვისაკენ მიმანიშნა.

შაშვი, ყვითელნისკარტა, შავი შაშვი ჩამოსკუპდა ბროწეულის ტოტზე. ნისკარტი ჩაჰკრა შუა გადახლეჩილ ბროწეულს, ტოტზე აფრთხიალდა,

— სუუ, — თითი აეფარებინა ბაგეებზე ნანიოს.

უეცრად შაშვმა ცას ახედა, მოკლედ, მაღალი ხმოვანებით რაღაც ნაწყვეტი წაუსტვინა და გაფრინდა, მიწას გაკრული ჭახჭახით მიფრინავდა

თხილნარისაკენ, საითაც მუდამ წითელი, დიდი მზე ჩადიოდა ხოლმე.

— მოგეწონა შაშვის გალობა? — მკითხა ხმადაბლა ნანიომ.

— ძალიან, მაგრამ ნამეტანი მოკლე იყო მისი სიმღერა.

— რას ჩიოდა, თუ იცი, შავი შაშვი? სიტყვები თუ გაარჩიე?

— სიტყვები? რა სიტყვები?

— რაც არ უიქვაძს, რას გაარჩევდი, მარა, ხომ კაი იყო მისი გალობა?

— კი, ძალიან.

მოხუცმა გულიანად გაიცინა.

— ა, ხომაა აგერ ბროწეული? ხომ შემოსკუპდა შაშვი და იგალობა. მარა შენ გულს გაკლია, ცოტა იგალობაო.

— კი, — ვთქვი მე, — ასე იყო.

— ახლა წარმოიდგინე შენ, ვითამ დაბრუნდა შაშვი, დასკუპდა აგერ მის ადგილზე და გალობს. მერე მოფრინდა ჩხართვი და დაიწყო იმანაც გალობა. შაშვს მისი საგალობელი აქვს და მისი ხმაი. ჩხართვიც ასეა, სულ სხვას გალობს, თუ გაგიგონია და დაკვირვებიხარ, და მოყვა იგიც თავის საგალობელს. გალობს აი, ორი ჩიტი და არიან. მოფრინდა მესამე, გაიდონა! ჩამოჯდა მაგინის გვერდში და დაიწყო იმანაც სტვენა. აგი მის ხმაზე მღერის და მისი ხმაი და საგალობელი სულ არ გავს ამ ორი ჩიტის არც ხმას და არც გალობას. მარა შეხედეს

მგალობელმა ჩიტებმა ერთმანეთს, მოუწონეს გალობა, მერე თქვეს, მოით შეუწყოთ ერთმანეთს ხმაიო! მარა ძნელია აი ამბავი. იმიტომ, რომ სხვადასხვა საგალობელს მღერის სამივე. შენ წარმოიდგინე, რომ კი მღერიან სხვადასხვას, მარა მოხდა იმფერი ამბავი, რომ შაშვმა პაწა დააგვიანა ხმაი. პაწა ჩხარტამ, პაწა გაიდონამ გადაასწრო ყველას. მარა მიხვდენ, თუ ერთიმეორეს დროზე შეაგებეს ხმაი, გამოდის სიმღერა, ამას რომ მიხვდენ, მაგინს, ბიძია, შენზე ნაკლები სმენა კი არ აქვენ და ახლა სამივე ერთად სიმღერისთვის იწუხებენ თავს, უწევენ ერთმანეთს ხათრს, უწყობენ ერთმანეთს ხმებს და გადაიბწნა ერთმანეთში ხმები, დაემსგავსა სიმღერას, შეიქმნა სიმღერა! არ იქნებოდა გლახა სიმღერა, რას იტყვი შენ? ჩვენებური სიმღერაც ასეა აწყობილი. ხმაი და ხელოვნება!

— კრიმანჭულს რომელი ჩიოდა, — ვთქვი მე სიცილით.

— შენ მითხარი, აბა რომელი იტყოდა? — მითხრა მოხუცმა ნიშნის მოგებით.

— არ ვიცნობ ახლოს მაგ მოსიმღერეებს, — ვთქვი მე.

— მაშინ მე გეტყვი. გაგაცნობ. სამივეს ხმები ასე ქონდათ დანაწილებული, მოძახილს ჩხარტა ჩიოდა. კრიმანჭულს გაიდონა. მაგარი მგალობელი კაცია. ბანს შავი შაშვი, სულ არ ჭირდებოდათ შენი სიტყვები.

მოხუცი წამოდგა.

— მაშ, რა ყოფილა ნამდვილი სიმღერა?

— ამაზე შაშვმა გიპასუხა მგონია, ნემსის ყუნწში რომელი გაძვრება, სიტყვით დამძიმებული ხმაი თუ წმიდა ხმაი.

— კრიმანჭულს რად უნდა სიტყვა. სიტყვები რომ საჭირო იყოს, შენ მოასწრებდი შაშვს? შენზე უწინ იგი გამონახავდა სიტყვებს. გაუჭირდებოდა თუ რაი?

— ხასანბეგურაშიც ხომაა სიტყვები?

— უსიტყვოდ არ იმღერება? შეცვალე სიტყვები. შოთადან ამოიღე და ჩადეგი შით. ამით შეიცვლება სიმღერა? შენ ხასანბეგის ამბავი გაინტერესებდა და იმიტომ მოკიდე ხელი ამ სიმღერის სწავლას, თუ კრიმანჭული რომ რეკს ცაში. აგერ, ბიძია, — წამოიძახა მოხუცმა და ხელი მაღალი-საკენ მოავლო. იქით, სადაც ხევის პირას გარინდებული იდგნენ ტანაშოლტილი წიფლები. — ხომ გადამდგარხარ ზემოდან, ხომ გინახავს, როგორაა ტყეი ჩაფენილი, ქვემოთ ხომ მოჩხრიალებს ღელის წყალი ხმამაღლა?

— კი, — ვთქვი მე.

— მოზრდილი ჩქერალი რომ გადიარს ლოდზე, იმას ხომ მეტი მსხვილი ხმაი აქვს?

— კიი.

— პაწა რომ მოჩუხჩუხებს, იმას ხომ ნაკლები ხმაი აქვს?

— კი, ბატონო.

— კაი და კეთილი. იმფერადაც ხომ მისრიალებს წყალი, ხმაი სულ რომ არ ისმის?

— კი, ნამდვილად ასეა.

— მარა მისი ხმაი მაინც ხომ აქვს, რომ მოიკილანკრება და მოკინკილობს ჩუმად.

— კი.

— ყველა ხმაი ერთად ხომ ისმის შორიდან?

— კი.

— ამას ხომ ქვია მდინარის ხმა?

—კი, ბატონო.

— ხომ გსიამოვნებს, რომ უსმენ მის ჩხრიალს?

— ძალიან.

— ხომ გეგონება, რაცხას მღერის წყალი?

— გეგონება კი არა, მართლა მასეა.

— ხომ მოგწონს მისი სიმღერა?

— ძალიან.

— სიტყვებს რომ არ ჩივა, რაფერ ხვდები ნეტა მის სიმღერას? ჩვენებური სიმღერის მსგავსი არაა ქვეყნიერებაზე. მე არ გამიგია სხვაი და შენ თუ იცი, მითხარი. თუ სიმართლეს არ ვჩიოდე, კითხე აგერ ამას! — ბროწეულის ჩირგვზე ისევ დასკუპდა შავი შაშვი.

* * *

სამუდამოდ დამატყვევა ჯადოსნურმა სიმღერამ და თმაგაჩეჩილმა მოძღვარმა. დღე და ღამე ვმღეროდი, ვმღეროდი გულში, ყანის ბოლოს ძროხას

რომ ვაბალახებდი, წისქვილზე რომ მაგზავნიდნენ წვიმაში თავზე ტომარაჩამოცმული, ხის კენწეროში, ქარს აყოლილი, ცაში გამოკიდული. ნაშუალამევს გამომეღვიძებოდა შიშით, ხომ არ დამავიწყდა-მეთქი და ჩუმად ვმღეროდი.

მაგრამ ყველაფერზე მეტად წყლის პირას მღერა შემიყვარდა. მაღალში ერთი ადგილი ვიცოდი. ღარის თვალთან აღმოვაჩინე. შეგუებული ღელე მძიმედ ეშვებოდა ლოდებს შუა და ბანის ხმას გამოსცემდა, მე ხმას ვუწყობდი წყლის თქრიალს, ხანდახან დაემთხვეოდა ხმები და მაშინ გახარებული ვუწევდი ხმას, თან მეშინოდა, ვინმეს არ წაესწრო. ანდა შეიძლება კიდევაც დამინახეს, მაგრამ ვინ მომეკარებოდა სიახლოვეს. ერთხელ ნანიოსაგან შინმობრუნებული მწვანე მორევთან ვიდექი და წყლის თამაშს დავცქეროდი. ნელ-ნელა იშლებოდა რგოლები წყლის მოსარკულ ზედაპირზე, ათასფრად ტყდებოდა წყალში ლურჯი ცა, გამჭვირვალე წყლის ფსკერზე კალმახების ჩრდილები იქნევდნენ კუდებს, მშვიდად შრიალებდა წყალი აქ. უეცრად ვიღაც ჩაბალახიანი კაცი წამომადგა თავზე. კაცს ნედლი ქორთუხი გაედო მხარზე და ქამარში წალდი ჰქონდა გარჭობილი.

— მეიძიე რამე წყალში? — მკითხა მან.

— კალმახი თუა ვაკვირდები.

— მერე? მისით ამუა, აგერ ვარო? წაი, ბიძია, შინ! — კაცი წავიდა.

მე წყალს ავყევი, მოვძებნე ბანი ლოდებთან და

სასიმღეროდ მოვემზადე. ავიფარე ხელები ყურებზე, წამოვიწყე დასაწყისი ხმამაღლა და იმ ადგილს რომ მივუახლოვდი, სადაც ბანი მიერთდებოდა, სწრაფად ავუშვი ხელები, „ვაჰდილაჰ!“ — თქვა წყალმა. ხმები არ შეხვდა ერთმანეთს, არ დაემთხვა. არ გამოდგა ბანი, ახლა სხვა ხმაზე წამოვიწყე. ყურებზე რომ მოვიშორე ხელები, ხმამაღალი ძახილი მომესმა, მივიხიდე უკან. „წაი, ბიძია, შინ“, — თქვა კაცმა.

მეც წამოვედი და ისიც თავისი გზით წავიდა.

* * *

თანდათანობით გამოიკვეთა სიმღერა. მისი სიგრძე და სიგანე, თავიდან ბოლომდე რომ მემღერა შეუმცდარად, ამიტომ სიმღერა ქაღალდზე ჩავიწერე. ყოველი შორისდებული, ყოველი ამოძახილი დავყავი მუხლებად. ფერადი წერტილები დავუსვი ხმის ამაღლებას და დადაბლებას. ისე გამიტაცა უნებლიე აღმოჩენამ, რომ მხოლოდ ჩემს ხმას აღარ დავჯერდი და ქაღალდზე ცისფრად მოვხაზე კრიმანჭულის რკალები, სად მოწყდებოდა და სად უბრუნდებოდა სიმღერას. დავხედავდი ამ ქაღალდს და ვგრძნობდი, რომ სიმღერა მჯიღში მოვიქცია, დამწყვდეული მყავდა სამუდამოდ და ველარსად გამექცეოდა. ეს საიდუმლო აღმოჩენა არავისათვის გამიმხელია. მისი დიდი იმედი მქონდა.

ერთ დღეს ნანიო შემხვდა

— ოო, — შორიდანვე შემომძახა მხიარულად, — სად ხარ, ბიძია? სად დამეკარგე? მიატოვე ბერიკაცი? როგორ მიდის საქმე, რას შობა შენი სიმღერა? (ჰიჰიჰი).

— მანამდე ფეხს არ მოვადგამ თქვენთან, სანამ სიმღერას მთლიანად არ დავამუშავებ-მეთქი — ამაყად ვუპასუხე.

— კაი აბა, გაისად, დღეის სწორს გიცდი.

* * *

ჩემი იდუმალი ჩანაწერების იმედით დროებით მივატოვე სიმღერის მოძღვარი. არ უნდა აჩქარდეს კაცი. ჩემეული სანოტო სისტემა საპნის ბუშტივით ჩამასკდა ხელში! დავრჩი ხელცარიელი, გამქრალი სიმღერისაკენ ხელებგაწვდილი, პირში ჩალაგამოვლებული. სრულიად დამვიწყებოდა სიმღერა! ჩავხედავდი ქაღალდს, აღარაფერი გამეგებოდა უაზრო, არაფრის მთქმელი სიტყვების, მხოლოდ თვალით ვკითხულობდი, სიმღერის ჰანგი კი აორთქლებულიყო. ყოველი ნიშანი გამოცანად ქცეულიყო, უნდა მემღერა, ამ აბდაუბდას ჰნიშვნელობა რომ მისცემოდა. ქაღალდი მაინც ვერ გავიმეტე გადასაგდებად, იმიტომ კი არა, პეპელასავით ფრთამოხატული რომ იყო, არამედ კიდევ მქონდა რაღაცის იმედი, აქ იდუმალებით მოსილ ნიშნებში მეგულე-

ბოდა ჩაძირული ჰანგი და ახლა იმაზე ვფიქრობდი, როგორ დამებრუნებინა იგი, ერთადერთი გამოსავალი კვლავ ნანიოსთან მიბრუნება იყო. მაგრამ ვერ მივბედე მისვლა, მრცხვენოდა მისი.

აღარ ვიცოდი, რა მექნა. ვერ ვხვდებოდი, რა ყოო ჩემს თავს. მივაკითხე ღელეს, ერთი ნაწყვეტიც კი ვერ გავიხსენე. ასეთი გაჭირვების დროს ჩემს მოჩვენებებს მოვუხმობდი ხოლმე, როგოოც მორწმუნე. წმინდა გიორგის. ჩვენება იმედს მისახავდა, გულს მიმაგრებდა. ახლაც გამოვიხმე და კვლავ გამომეცხადნენ ჩაბალახით თავგაკრულნი, სისხლისფერ ჩაქურებში გამოწყობილი მოსიმღერეები და ერთ გუნდად გამწკრივდნენ. მომღერალთა მწკრივს, ამოვარდნილი წინა კბილივით დამჩნეოდა ჩამუქებული სიცარიელე. ღელე კი ისევ ქაფმორეული მითქრიალებდა ქვებზე და მხიარულად მიიმღეროდა.

* * *

ღმერთი არ გაწირავს კაცს და, ნანიოსაგან მოწყვეტილს, მომივლინა კაცი სულით მხიარული. ბერიკაცი რომ გამახსენდებოდა, გულში მოღალატედ ვთვლიდი თავს, მაგრამ რა მექნა. ახლოვდებოდა ჩემი თბილისში წასვლის დრო და ხასანბეგურა ხომ უნდა წამეღო თან?! ახალი მოძღვარი ჩვენი მათემატიკის მასწავლებელი გახლდათ. ამ კაცმა მალე ისე გამწვრთნა, რომ ერთი სული

მქონდა ნანიოს შევხვედროდი და მეხარებინა, სიმ-
ღერა ბოლომდის დავამუშავე-მეთქი. მათემატი-
კის მასწავლებელმა გამაფრთხილა, ვიდრე მე არ
გეტყვი, მანამდის ნუ დაიჯერებ, რომ სიმღერა
იციო.

მეც დავუჯერე მას და ყოველდღე, საღამოობით
დავდიოდი მასთან და ისიც გულმოდგინედ მამე-
ცადინებდა. მაგრამ ჩვენი მეცადინეობა მოკლე
დროში დასრულდა.

აი, როგორ დაიწყო და როგორ იყო ყველა-
ფერი.

ერთხელ დაფასთან გამომიძახა. ერთი ბიჭის
კარნახით (ის კარადაზე ცარცით მიწერდა, მე და-
ფაზე ვიხატავდი) როგორც იქნა გამოვიყვანე ამო-
ცანა. სწორად ამოხსნილს თვალი რომ მოავლო,
დაეჭვდა, მომვარდა, გამჩხრიკა, და აჭრელებული
ქაღალდი შერჩა ხელში. ჩასცქერის საიდუმლო
ნიშნებს, კითხულობს, გადმოაბრუნებს, ხან დაფას
შეხედავს, ხან მე.

— რა არის ეს, თუ კაცი ხარ, გამაგებინე. —
თქვა მან და ქაღალდი გამომიწოდა.

— ხასანბეგურა! — ვთქვი მე.

— რაიო?

— ხასანბეგურა. ხასანბეგურას ვსწავლობ და,
კარგად რომ დავიხსომო, მთელი სიმღერა სიტყ-
ვებად ჩავიწერე. აი, მაგალითად, ეს მთქმელის
ხმაა. — თითი გავაყოლე დასაწყისს და ხმადაბლა
ყურთან წავუმღერე, — აააიიი ვოოიიი, ეს კი

ვოიდილა, ვადილო (ორჯერ), ისევ მთქმელია. ვაჰევაჰე, — ეს ბანი (სამჯერ). შემომხედა.

— რას იკლავ, ბიძია თავს. ჩამოიტანე ერთი დოქი ღვინო ჩემსას, დილით რომ მესტუმრები, საღამოს ხასანბეგურას სიმღერით გამოუყვები გზას შინისაკენ...

* * *

განახლდა ხასანბეგურას გაკვეთილები. ახლა მათემატიკის მასწავლებელი მასწავლიდა სიმღერას. საოცარი ის იყო, რომ წამოიწყო თუ არა დასაწყისი, უეცრად მთელი სიმღერა გამახსენდა და მთლიანად აღდგა, ვგრძნობდი, რომ სიმღერა უკვე კარგად ვიცოდი. ყოველ დღე, მზე მიიდრიკებოდა თუ არა, მივიმღეროდი მხარზე დოქშემოდგმული.

შემომხედავდა თუ არა და დოქს მოჰკრავდა თვალს, მობრძანდიო, მეტყოდა. ღვინის გარეშე სიმღერის სწავლა ყოვლად შეუძლებელიაო, იმიტომ, რომ ღვინო ათამამებს კაცს. ხმას რიხს მატებს და კაცი გამბედავი ხდებაო, აი ამბავი მათემატიკას არ შველის, მარა სიმღერისთვის მისწრეგაოო. მეცადინეობას რომ შევუდექით, მკითხა, ვინმე თუ გასწავლიდა ამ სიმღერასო. არა-მეთქი, ვუთხარი, ადვილად ითვისებ სიმღერას, მითხრა. კაი სმენა გაქვსო. ერთხელ მოჰკარი ყური და შეუმცდარად გაიმეორეო.

— ეგაა საქმე, უნდა მოკრა ყური. — ვუთხარი მე.

ჩვენი გაკვეთილები გრძელდებოდა. ერთ დღეს ხელცარიელი მივადექი, ხელში დოქი რომ ვეღარ დამინახა, გაკვირვებით შემომხედა.

— რაშია საქმეო, — იკითხა.

— ჭური ამოიწურა-მეთქი, — შევძახე მხიარულად.

ამ დალოცვილ ღმერთს, — თქვა მან და ცას ახედა, ყველაფერი როგორ გაანგარიშებული ჰქონიაო. ჭურში ღვინო სწორედ იმ დროს ამოწურულა, როცა სიმღერა უკვე კარგად იციო. კაი ქორწილი, კაი ბანი, კაი კრიმანჭული, მეტი სხვაი აფერი აღარ გაკლია, იცი ხასანბეგურაო.

ერთ საღამოს სიზმარი ვნახე, თურმე ხმამაღლა ვმღეროდი ძილში და გამაღვიძეს. მე კი ვნანობდი, რომ გამაღვიძეს, ვითომც უსიერ ტევრში, რომელიღაც ციხე-კოშკის მახლობლად ცადაზიდული მუხის ქვეშ, შეჯიბრი გაემართათ სიმღერაში. მთელს გურიაში განთქმულ მოსიმღერეებს მოეყარათ აქ თავი. მუხის ძირებზე ჩამომსხდარ უხუცესებს რომ მივუახლოვდი, ცხენიდან გადმოვხტი და თაყვანი ვეცი. ათასი ელვარე თვალი შემომცქეროდა. უეცრად ფაფანაკიანი მოხუცი გამომეცხადა. მივხვდი, რომ ნანიო იყო, მას ვიღაც უცნობი ბენძღი ბერიკაცი ახლდა. ამან თეთრი თვალებით ჩამხედა თვალებში და ორჯერ დააქნია თავი მდუმარედ. უხუცესებმა ხელი აიქნიეს და მე შე-

მოვძახე სიმღერა, გასაოცარი ხმები შეაგებეს ჩემს ხმას მოხუცებმა. მათ შორის ვიდექი დოინჯშემოდგმული და ვმღეროდი, ბუნდოვან ნეტარ ბედნიერებაში ვიძირებოდი. მოლივლივე ხმები ერთურთში ღვრებოდნენ და ზეცისკენ მიმაქროლებდნენ. ღრუბლებს ავცდი და მსუბუქად, ლაღად მივფრინავდი სივრცეში, უკვე აღარ მოჩანდა ქვეყანა, „ზეცას ვიყავ. ზეცა ვნახე. ვარსკვლავებსაც დავენახვე. მთვარემ კაცი მომიგზავნა, აქ თუ იყავ, რად არ მნახეო“. ცა სავსე იყო სანეტარო ხმებით, ღმერთო! როგორ ბრწყინავდა, როგორ ელვარებდა სიმღერა. ვმღეროდი და გული ბედნიერებით მქონდა სავსე, უხუცესთა მზერა მდუმარედ, უსიტყვოდ მამცნობდა, ჯერ ქვეყანაზე ასე არავის უმღერიაო. ერთხმად ასწიეს ხელები ცისკენ და სწორედ ამ დროს მწვანეთვალებიანმა გოგომ აუშვა თეთრი მიმინო (ეს გამარჯვებას ნიშნავდა). თვალი ავაყოლე ცაში მიმინოს, ის უკვე შხუილით მოქროდა ქვევით, სწრაფად, დამაცხრა მხარზე ჭანგებით. გამოქანდნენ ჩემკენ საშველად, ჩემკენ ხელგამოწვდილნი მიყვიროდნენ და მანჯღრევდნენ, „რამ გადაგრია?“ — ჩამყვიროდნენ და იცინოდნენ ხმამაღლა. — არ დაგინახო აწი ბერიკაცთან მისული! იმან შენ კი არა ჭინკები გადარია ტყეში!“ ძლივს გამომაფხიზლეს, მე კი ვნანობდი, რომ გამაღვიძეს.

— სიზმარში ხომ არ შეგშლია სიმღერა? —

გულიანად იცინოდა ნანიო. — რას მღეროდი, თუ გახსოვს მაინც?

— მგონი, ხასანბეგურას. არა, არ მახსოვს. ის კი მახსოვს, რომ მაგრად ვმღეროდი.

ნანიომ სიცილისაგან სული რომ მოითქვა, აცრემლებული თვალები ამოიწმინდა და მითხრა: — აგაშენა ღმერთმა, ბიძია! კაი ხანია, ამდენი არ მიცინია ჰე, ჰე, ჰე! აბა ჭექე ვაჟკაცურად, ხომ? ყოჩაღ, ბიძია, ტყუილა არ მქონდა შენი იმედი.

* * *

ხასანბეგურა ძვალსა და რბილში მქონდა გამჯდარი. თან მახლდა როგორც სუნთქვა და გულისცემა და სიკვდილამდის თან მეყოლებოდა. მოახლოვდა ჩემი თბილისში დაბრუნების დრო. გამოვემშვიდობე სუყველას, მეზობლებს, ნათესავებს, ნაცნობ-მეგობრებს. „არ გაგიწყრეს ღმერთი და ბერიკაცის უნახავი არ წახვიდე“, — მაფრთხილებდა ბებიაჩემი და გამხდარი ხელებით თაფლის ხანთელს. ქნიდა. ბერიკაცისაკენ მივიჩქაროდი, კოპიტების ჩრდილში შეყუჟულ წისქვილს ჩავუარე, ხავსმოდებული პაწია წისქვილი იყო, მწვანე თავსაფრიანი დედაბერივით მწუხარედ რომ მიმზერდა მუდამ და ბნელი თვალებით მიმაცილებდა. წისქვილის ღარში შხუოდა წყალი. თეთრ ქაფად ქცეული თეთრ თმას იწეწავდა და შხუილით ჩემს სახელს მეძახდა სიღრმიდან. „არ უნდა მიიხედო, სახელს რომ დაგიძახებენ, თვარა ჩაგიტყუებენ სი-

ლამაზით და ჩაგახრჩობენ წყალში. იმათ კირკიცს რომ მოკრავ ყურს, იმ წუთში პირჯვარი ისახე და სამჯერ თქვი: წმინდაო გიორგი, შენ მიშველე. წმინდაო გიორგი, შენ მიშველე, წმინდაო გიორგი, შენ მიშველე!" წისქვილთან თეთრი ცხენი ება მუდამ. ქარი უშრიალებდა ძუა-ფაფარს, თავი აიღერა. შავი, კრიალა, სველი, კამკამა თვალებით შემომხედა და დაიფრუტუნა. „ნახვამდის, ცხენო", — ვთქვი გულში, ტყისკენ მიმავალ ბილიკს მივყვებოდი, თხილნარში შაშვის ბუდე მეგულებოდა, თხილის ტოტი ფრთხილად დავწიე და ბუდეს ჩავხედე; ცისფრად დაჭორფლილ თეთრ და წვრილ კვერცხებში ერთი უკვე გაბზარულიყო. იქ, სილრმეში შიშველ და თბილ ბარტყებს ეძინათ. ნახვამდის, შაშვებო, ჩუმად ვჩურჩულებდი, ბარტყებს რომ არ გაღვიძებოდათ. ფრთხილად გავუშვი ხელი თხილის შტოს. ნახვამდის, მესმოდა კვერცხის გულებიდან ბარტყების ჩურჩული.

ძველებურ ჭიშკართან ტალახიანი ცხენები მიებათ სადავით. თავჩაქინდრულები იდგნენ და ძუით იგერიებდნენ ბუზანკალებს. ირგვლივ ცხენის სუნი იდგა. ნანიოს მარანიდან სიმღერა მოისმოდა. მეჯოგეებს ჩამოევლოთ, გზად მოხუცი მოენახულებინათ. გვარდით სულგუნები მიეტანათ. ღვინოს ნანიო უსხამდა სტუმრებს, ღვინო მოჰკიდებოდათ და ისედაც მზედაკრული სახეები აწითლებოდათ.

„შემოდგომაზე, ყიამეთ დარში რომ შემოუქროლებს ქარი და დაზვინავს ფურცლებს, ხეს, ხომ

შემორჩება ეგერ-აგერ ყვითელი ფურცლები, — ამბობდა ჭარმაგი მეჯოგე, — ჩვენც ისე ვართ შემორჩენილები, მარა ჯერ ხომ ვართ? ვიყოთ, სიმღერა ვთქვათ! უყურეთ ერხანს მზეს, ცას და ქვეყანას, აგერ, ამ კაი ბაღანას". ნანიომ სიმღერა წამოიწყო, ამღერდა ვარდებით დაბურული მარანი.

„მწვანესა და უქუდოსა ვიჯდეთ არ ვსოლდებოდეთო.
ამ მშვენიერ წუთისოფელს ნეტავ არ ვშორდებოდეთო".

შემოუქროლა ქარმა და დაწყვიტა ყვითელი ფურცლები. ალბათ ის იყო ნამდვილი არსებობა, სისხლ-ჭარბი სიცოცხლე და მძლავრი გულისცემა.

— კაცი რომ მზეს აასწრებდა, — ამბობდა ნანიო — „ჰადილაო", შესძახებდა დილას, სტუმრები მოგადგებოდნენ და „სიყვარულმა მოგვიყვანაო", ჭიშკართან იწყებდნენ სიმღერას. გამოაღებდა მასპინძელი ჭიშკარს და „მასპინძელსა მხიარულსა ჰყავს სტუმრები საყვარლებიო", ეგებებოდა სიმღერით და იგინიც აყვებოდნენ ტკბილად. მარანში შევიდოდნენ და „ჩვენ მშვიდობაო" მღეროდნენ. ბაღანა გაჩნდებოდა და, უმღეროდნენ, კაცი დატოვებდა წუთისოფელს და, სიმღერით მიაცილებდნენ იმქვეყნად, ახლა უკეთესად ცხოვრობს ჩვენი ხალხი, უფრო შეძლებულად, მარა გაქრა კერიაზე ცეცხლი, საქმეს არ შველის ყველას მანქანა რომ ყავს გამობმული ჭიშკარზე... — მოხუცმა გამომაცილა, მხარზე ვემთხვიე.

— რას მერჩი, — თქვა მან. — ხასანბეგურას ხომ გიტოვებ?

მერე თბილისში ჩამოვედი. სოფელს მოვწყდი, როგორც სუყველა და სიზმრად ცას და მალაღურებს ვხედავდი, მერე, ამაო ზრუნვით დამძიმებული, მეც მივყვებოდი დროის ულმობელ სვლას.

დიდი ხანია დავასამარე სიყრმის მოგონებანი. მაგრამ ყველაფერი თავიდან მიცოცხლდება, როცა ყურს მოვკრავ ნაცნობ ჰანგს, ისევ ამიჩქროლდება ჭაბუკურად სისხლი, ისევ ხალისით მევსება სული და ღვინოსავით მწყურია სიცოცხლით ტრობა. cogito ergo sum???[1] მე ვარსებობ, როცა გაისმის ხასანბეგურა.

---

[1] დეკარტი — ვაზროვნებ, ე. ი. ვარსებობ.

ს. ბ. № 2304

რედაქტორი ც. ზაზაშვილი, მხატვარი ე. ბერძენიშვილი, მხატვრული რედაქტორი შ. დოლიძე, ტექნიკური რედაქტორი მ. გოგოლაძე, კონტრ.-კორექტორი ლ. სულთანიშვილი, კორექტორი თ. შინდაგორიძე, გამომშვები ლ. თავართქილაძე.

გადაეცა ასაწყობად 12.01.88. ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.08.88. ქაღალდის ზომა 70×90 1/32. გარნიტური ვენა. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 1,61 საბ. ქაღალდი № 1. საღებავგატარება 1,9 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,12, ტირაჟი 40.000. უე 06841.

შეკვ. № 433. ფასი 10 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, მშვიდობის გამ. 28

Издательство «Накадули», Тбилиси,
пр. Мира, 28